სოციალური პრობლემები, როგორც ქვეყნის მორალურ-სამართლებრივი სტატისტიკის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი

ნაირა ვირსალაძე
ეად, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი (აფილირებული)

მალვინა ყიფიანი
ქუთაისის უნივერსიტეტის
ასოცირებული (აფილირებული) პროფესორი

რეზიუმე

კრიმინოგენული მდგომარეობის შესწავლისა და შესაბამისი უწყებების მიერ პრევენციული ღონისძიებების გატარების საშუალებას იძლევა სრულყოფილი ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი. ქვეყანაში 2018 წლიდან დანაშაულის სტატისტიკის დინამიკის მკვეთრი ცვლილება პირველ რიგში უკავშირდება მორალურ-სამართლებრივ სფეროში სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების და დამუშავების ახალი მეთოდოლოგიის დანერგვას. მნიშვნელოვანად შეიცვალა დანაშაულთან ბრძოლის მეთოდები, გამოვლინდა ორგანიზებული დანაშაულის კუთხით არსებული საფრთხეები და გამოწვევები, განისაზღვრა ორგანიზებული დანაშაულის პრევენციისა და მასთან ბრძოლის მექანიზმები. დანაშაულის გამომწვევი პრობლემები მით უფრო ღრმავდება, რამდენადაც ნაკლებად სამართლიანია საზოგადოება. ყველაზე ფართოდ გავრცელებული სოციალური პრობლემა - სიღარიბეა, რომელიც პირველ რიგში უმუშევრობის მაღალი შედეგია. თუმცა, შეიმჩნევა სრულიად ახალი ტენდენცია - დანაშაულის რაოდენობა არ მცირდება კეთილდღეობის ზრდასთან ერთად, პირიქით, შეიცვალა დანაშაულის სახეები, მასშტაბები, დამნაშავის სოციალური სტატუსი. კორუფციულ გარიგებებსა და ფართო მასშტაბიან, კარგად ორგანიზებულ დანაშაულს ჩადის მაღალი თანამდებობის მქონე, საკმაოდ კარგ პირობებში მცხოვრები ადამიანები და არა უმუშევრები. არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე საკითხიც - დამნაშავე პირი პირდაპირი მნიშვნელობით „მძიმე“ ტვირთად აწვება ქვეყნის ეკონომიკას, რადგანაც პენიტენციური დაწესებულებების ხარჯები თანამედროვე სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისად, საკმაოდ დიდი მოცულობის თანხებს უკავშირდება.

საკვანძო სიტყვები: სამართალდარღვევის სტატისტიკა, სოციალური პრობლემები, დანაშაულის ტრენდი, დანაშაულის ახალი ტენდენციები, დანაშაული და ქვეყნის ეკონომიკა.

SOCIAL PROBLEMS AS AN IMPORTANT DETERMINING FACTOR OF THE COUNTRY'S MORAL-LEGAL STATISTICS

Naira Virsaladze,
Malvina Kipiani

RESUME

A complete economic-statistical analysis allows for the study of the criminogenic situation and the implementation of preventive measures by the relevant agencies. The methods of combating crime have been changed, the threats and challenges in terms of organized crime have been identified, and the mechanisms for preventing and combating organized crime have been defined.

The problems that cause crime deepen as much as the society is less fair and the social situation of this society is problematic. However, at the same time, a completely new trend can be observed - the types, scales, and social status of the offender have changed. Corrupt deals and large-scale, well-organized crime are committed by high-ranking, well-to-do people, not the unemployed. The second issue is no less important - the guilty person literally puts a "heavy" burden on the country's economy, because the costs of penitentiary institutions, according to modern standards and norms, are related to quite a large amount of money.

Key words: crime statistics, social problems, crime trend, new crime trends, crime and country's economy.

ძირითადი ტექსტი

ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული მდგომარეობის შესწავლა და შესაბამისი უწყებების მიერ პრევენციული ღონისძიებების გატარება წარმოუდგენელია სტატისტიკური ინფორმაციის გარეშე. სრულყოფილი ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი საშუალებას იძლევა ადექვატურად შეფასდეს ქვეყანაში შექმნილი კრიმინოგენული მდგომარეობა და თავიდან იქნას აცილებული მისი უარყოფითი შედეგები მომავალში.

ცხრილი #1. სამართალდარღვევების სტატისტიკა საქართველოში 2010-2022 წლები

წლები	რეგისტრირებული დანაშაული (ერთეული)	მსჯავრდებულთა რიცხოვნობა (კაცი)
2010	34 739	19 940
2011	32 262	18 153
2012	28 970	10 922
2013	36 526	15 166
2014	35 096	16 776
2015	35 096	15 139
2016	35 997	15 640
2017	37 944	14 517
2018	58 412	15 846
2019	64 123	16 748
2020	56 596	12 980
2021	56 343	15 412
2022	54 435	18 850

წყარო:https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika,

როგორც#1 ცხრილიდან ჩანს, წინა წლებთან შედარებით, რეგისტრირებული დანაშაულის რიცხვი მკვეთრად არის გაზრდილი 2018-2019 წლებში. 2020 წლიდან იგი თანდათანობით მცირდება და 2021-2022 წლებში 1 908 ერთეულით ანუ 3.4 %-ით არის შემცირებული. რაც შეეხება მსჯავრდებულთა რიცხოვნობას, აქ საპირისპირო სურათი იკვეთება, 2021-2022 წლებში მათი რიცხოვნობა 15 412-დან 18 850 -მდე ანუ 122.3 %-მდეა გაზრდილი.

ბოლო პერიოდში დანაშაულის სტატისტიკის დინამიკის მკვეთრი ცვლილება უკავშირდება მორალურ-სამართლებრივ სფეროში სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების და დამუშავების ახალი მეთოდოლოგიის დანერგვას, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა დანაშაულის აღრიცხვის სისტემა, შეზღუდა სტატისტიკური ინფორმაციის „შელამაზება" და დანაშაულის სტატისტიკის რეალური სურათი მოგვცა. მორალურ-სამართლებრივ სფეროში მიმდინარე მოვლენები და პროცესები რთული და მრავალმხრივია, ამასთან ისინი ურთიერთკავშირშია სხვა მოვლენებთან და პროცესებთან. შესაბამისად, რთულია მოვლენათა ურთიერთკავშირის გამოვლენა, მათი ხასიათისა და მიმართულების დადგენა, სწორედ ამ ურთიერთკავშირზეა დამოკიდებული მათი ცვლილების ტენდენციები. დანაშაულებრივი სტატისტიკის ანალიზის პროცესში მნიშვნელოვანია მოვლენების განვითარების ტენდენციის (ტრენდის) გამოვლენა. ტრენდის გამოსავლენად გამოვიყენეთ წრფივი ფუნქცია: $\hat{y}_t = a_0 + a_1 t$ (სადაც a_0 ასახავს საანალიზო პერიოდში რეგისტრირებული დანაშაულის საშუალო დონეს, ხოლო a_1 - დანაშაულებათა განვითარების აჩქარებას).

რეგისტრირებული დანაშაულის ტრენდის გამოვლენის მიზნით შევადგინეთ გაანგარიშებითი ცხრილი:

რეგისტრირებული დანაშაული (y)	დრო (t)	yt	t^2
34 739	-6	-208 434	36
32 262	-5	-161 310	25
28 970	-4	-115 880	16
36 526	-3	-103 518	9
35 096	-2	-70 192	4
35 096	-1	-35 096	1
35 997	0	0	0
37 944	1	37944	1
58 412	2	116 824	4
64 123	3	192 369	9
56 596	4	226 384	16
56 343	5	281 715	25
54 435	6	326 610	36
$\sum y = 570808$		$\sum yt = 487415$	$\sum t^2 = 182$

გამოვიყენეთ სტატისტიკაში ცნობილი პირობითი ნულიდან ათვლის წესი და გამოვთვალეთ წრფივი ფუნქციის პარამეტრები:

$$a_0 = \frac{\sum y}{n} = \frac{570808}{13} = 43908.3 \quad a_1 = \frac{\sum yt}{t^2} = \frac{487415}{182} = 2678.1$$

მიღებული შედეგებთ მივიღეთ წრფივი ფუნქციის მოდელი: $y_t = 43908{,}3 + 2678{,}1 \times t$

მიღებული მოდელით მოვახდინეთ ემპირიული დინამიკური მწკრივის დონეების მოსწორება:

$\hat{y}_{2010} = 43908{,}3 + 2678{,}1 * (-6) = 27839{,}4$; $\hat{y}_{2011} = 43908{,}3 + 2678{,}1 * (-5) = 30517{,}8$;

$\hat{y}_{2012} = 43908{,}3 + 2678{,}1 * (-4) = 33195{,}9$; $\hat{y}_{2013} = 43908{,}3 + 2678{,}1 * (-3) = 35874{,}0$;

$\hat{y}_{2014} = 43908{,}3 + 2678{,}1 * (-2) = 38552{,}1$; $\hat{y}_{2015} = 43908{,}3 + 2678{,}1 * (-1) = 41230{,}2$;

$\hat{y}_{2016} = 43908{,}3 + 2678{,}1 * 0 = 43908{,}3$; $\hat{y}_{2017} = 43908{,}3 + 2678{,}1 * 1 = 46586{,}4$;

$\hat{y}_{2018} = 43908{,}3 + 2678{,}1 * 2 = 49264{,}5$; $\hat{y}_{2019} = 43908{,}3 + 2678{,}1 * 3 = 51942{,}6$

$\hat{y}_{2020} = 43908{,}3 + 2678{,}1 * 4 = 54620{,}7$; $\hat{y}_{2021} = 43908{,}3 + 2678{,}1 * 5 = 57298{,}8$

$\hat{y}_{2022} = 43908{,}3 + 2678{,}1 * 6 = 59976{,}9$; $\sum y - \sum \hat{y} = 570808 - 570807{,}6 = 0{,}4$

როგორც გაანგარიშებამ აჩვენა წრფივმა ფუნქციამ ადეკვატურად ასახა რეგისტრირებული დანაშაულის განვითარების ტენდენცია 2010-2022 წლებში (ვინაიდან ემპირიულ და მოსწორებულ დონეთა ჯამებს შორის სხვაობა (0,4)მინიმალურია), მიღებული მოდელი ასევე მიანიშნებს მომავალში დანაშაულის მზარდ დინამიკაზე (ვინაიდან a_1 პარამეტრი, რომელიც ფუნქციაში დანაშაულებათა განვითარების აჩქარებას ასახავს დადებითია).

დანაშაულის გამომწვევი მიზეზები ძირითადად ეკონომიკური, პოლიტიკური ან სოციალური პრობლემებია. ეს პრობლემები მით უფრო ღრმავდება, რამდენადაც ნაკლებად სამართლიანია საზოგადოება მოქალაქეების თანაბარი შესაძლებლობების თვალსაზრისით. ყველაზე ფართოდ

გავრცელებული სოციალური პრობლემა - სიღარიბეა. დანარჩენი კი პრაქტიკულად სიღარიბიდან გამომდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ 2010-2022 წლებში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი საქართველოში 37.3%-დან 15.6%-მდეა შემცირებული, იგი კვლავ ერთ-ერთ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. სიღარიბე განსაკუთრებით მაღალია სასოფლო ტიპის დასახლებებში (20.6%). სიღარიბეს ხელს უწყობს და კიდევ უფრო აღრმავებს უმუშევრობა. დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობების გამო უმუშევრობა თანამედროვე საქართველოს ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემად რჩება. ბოლო წლებში საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის შემცირება აიხსნება როგორც ე.წ. „ხელჩაქნეული უმუშევრების'' რაოდენობის ზრდით, ისე საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში მიდინარე ცვლილებებით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვეყანაში არარაციონალურია მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურა სტატუსის მიხედვით. დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 32,1% - თვითდასაქმებულია (საკუთარ შინამეურნეობაში), რომელიც არსებითად თვითგადარჩენისა და საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული. დასაქმებასთან დაკავშირებული სოციალური პრობლემები კვლავ მოუხსნელია, რაც კიდევ უფრო ზრდის სოციალურ უთანასწორობას. აღნიშნული სოციალურ პრობლემების ფონზე ქვეყანაში უარესდება კრიმინოგენული მდგომარეობა. უმუშევრობის დონესა (x) და რეგისტრირებულ დანაშაულს (y) შორის კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის დასადგენად გავიანგარიშეთ კორელაციის წყვილადი წრფივი კოეფიციენტი.

ცხრილი #2. უმუშევრობის მაჩვენებლების დინამიკა საქარველოში (2010-2022 წლები)

წლები	უმუშევრობის დონე % (x)	რეგისტრირებული დანაშაული, ერთეული (y)
2010	27,2	32 263
2011	27.2	39 006
2012	26.7	28 970
2013	26.4	36 526
2014	23.0	35 096
2015	21.9	35 097
2016	21.7	35 997
2017	21.6	37 944
2018	19.2	58 412
2019	17.6	64 123
2020	18.5	56 596
2021	20.6	56 343
2022	17.3	54 435
	$\sum x = 268.9$; $\bar{x} = 20.7$	$\sum y = 570808$; $\bar{y} = 43908{,}3$

წყარო: www.geostat.ge

$$R_{xy} = \frac{\sum (x-\bar{x})(y-\bar{y})}{\sqrt{\sum (x-\bar{x})^2 (y-\bar{y})^2}} = \frac{79}{80} = 0.99$$

მაშასადამე, კორელაციის წყვილადი წრფივი კოეფიციენტი შეადგენს - 0.99 ე. ი. უმუშევრობის დონესა და რეგისტრირებულ დანაშაულს შორის კავშირის სიმჭიდროვის ხარისხი არის ძალიან

მაღალი, ფაქტობრივად ფუნქციონალური, რაც იმის მაჩვენებელია, რომ უმუშევრობასა და დანაშაულს შორის არსებობს პირდაპირი წრფივი კავშირი.

მართალია სტატისტიკურმა გაანგარიშებამ აჩვენა, რომ დანაშაულის ზრდის ძირითადი მიზეზი არის უმუშევრობა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის გამომწვევი მიზეზების შესწავლისას იკვეთება სრულიად ახალი ტენდენცია - დანაშაულის რაოდენობა არ მცირდება კეთილდღეობის ზრდასთან ერთად, პირიქით, იცვლება დანაშაულის სახეები, მასშტაბები და დამნაშავის სოციალური სტატუსი. თუ თავდაპირველად კრიმინოლოგიური თეორია ყურადრებას ამახვილებდა არახელსაყრელ სოციალურ მდგომარეობაზე, როგორც ამ ფაქტის ახსნაში ცენტრალურ საკითხზე, რომ სისხლის სამართლის სისტემები ძირითადად ორიენტირებული იყო სოციალურად მოწყვლადი ფენების დანაშაულზე, ვიდრე პრივილიგირებული ფენის „დანაშაულებებზე''. დღეს კორუფციულ გარიგებებსა და ფართო მასშტაბიან საკმაოდ კარგად ორგანიზებულ დანაშაულს ჩადის უკვე მაღალი თანამდებობის პირები, სოციალურად უზრუნველყოფილი, მდიდარი ადამიანები და არა მხოლოდ ღარიბები და უმუშევრები. მაღალი სტატუსის მქონე დამნაშავეებს ადვილად მიუწვდებათ ხელი ყალბი დოკუმენტაციის შედგენაზე, ადამიანების დაშანტაჟებაზე და შესაბამისად საკმაოდ „ღირებულ" დანაშაულსაც ადვილად წვდებიან. ასე, რომ დაბალი კეთილდღეობისა და სოციალური პრობლემების მქონე ადამიანთა დანაშაულის გვერდით ხდება კარგად ორგანიზებული კორუფციული გარიგებები, „შავი ფულის" გათეთრება, ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობები, ტრეფიკინგი, პროსტიტუცია და სხვა, რომელთა შედეგები გაცილებით უფრო სერიოზულ ზიანას აყენებს საზოგადოებას, როგორც მატერიალურად ასევე მორალურადაც, ვიდრე დაუსაქმებელი და სოციალურად დაბალი სტატუსის მქონე ადამიანთა მიერ ჩადენილი დანაშაული. ზემოთ აღნიშნულ დანაშაულთა ქსელი იმდენად ორგანიზებულად და „შენიღბულად" არის აწყობილი, რომ იგი საერთაშორისო მასშტაბებს მოიცავს. და რაც მთავარია, ასეთი ქმედებების შემოქმედნი არ და ვერ იქნებიან სოციალურად მოწყვლადი ფენის წარმომადგენლები. არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე საკითხიც - დანაშაულის და ქვეყნის ეკონომიკის პირდაპირი კავშირის კიდევ ერთი მხარე. დამნაშავე პირი პირდაპირი მნიშვნელობით „მძიმე" ტვირთად აწვება ქვეყნის ეკონომიკას. ხარჯები, რასაც პენიტენციური დაწესებულებები მოითხოვს თანამედროვე სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისად, საკმაოდ დიდი მოცულობის თანხებს უკავშირდება. აქ იგულისხმება როგორც მაღალი დონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზები, ასევე მათი მომსახურების სახეების მაღალი დონის სტანდარტები და მრავალფეროვნება. ამიტომ ხშირად და სამართლიანადაც არის მინიშნება, იმის შესახებ, რომ ამდენი პატიმრის შენახვა თავის მომსახურე პერსონალითა და ბაზებით, იქნებ სწორედ ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხარჯებით „ჩაგვენაცვლებინა" ?!. ახალი და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის თემა უკვე წლებია ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად იქცა საქართველოს მოსახლეობისათვის. სამწუხაროა, რომ ეს საკითხი კვლავ სოციალურ პრობლემათა პირველ რიგშია და რეალური, ქმედითი ღონისძიებების გატარება და შესაბამისი სამთავრობო გრძელევადიანი და სტრატეგიული გეგმა ისევ და ისევ იგვიანებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გელაშვილი ს. შონია ზ. ქინქლაძე რ. სოციალური სტატისტიკა, თბ., 2020.
2. გელაშვილი ს., შესავალი სტატისტიკურ პროგნოზირებაში, თბ.,2019
3. მარშავა ქ., მინდორაშვილი მ., იურიდიული სტატისტიკა (თეორია, პრაქტიკა, ანალიზი). სახელმძღვანელო. გამომც. „უნივერსალი", თბ., 2011.
4. ნაჩმიასი ჩ. ფ., ლეონ-გერერო ა. სოციალური სტატისტიკა მრავალფეროვანი საზოგადოებისათვის. მე-6 გამოცემა. ავტორიზებული თარგმანი ინგლისურიდან. გამომც. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი". თბ., 2012
5. ტიმ ნიუბერნი, არახელსაყრელი სოციალური მდგომარეობა, დანაშაული და სასჯელი. https://socialjustice.org.ge/ka/products/arakhelsaqreli-sotsialuri-mdgomareoba-danashauli-da-sasjeli
6. თანამშრომლობის მემორანდუმი სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ. www.geostat.ge